BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

NEWSLETTER

2022

იანვარი | თებერვალი | მარტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი მასპინძელ ინსტიტუციად შეირჩა MIT-ს მიერ, რომელიც GSW-ს, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ და გავლენიან საერთაშორისო კონფერენციას ინოვაციების მიმართულებით, უმასპინძლებს;

500 ქალი ტექში - მასშტაბური გადამზადების პროექტი საქართველოში დაიწყო

პროექტი გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კოორდინირებით მიმდინარეობს.

შერჩეული ბენეფიციარი ქალები გადამზადების მოდულებს შემდეგი მიმართულებით გაივლიან:

- ტექნიკური ინგლისურის კურსი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით: Front-End დეველოპმენტი; UI/UX დიზაინი; გრაფიკული დიზაინი; ციფრული მარკეტინგი; ციფრული პროდუქტების ტესტირება, Back-End დეველოპმენტი;
- ბუთქემფის ფორმატში ტრენინგები: ლიდერობა; გუნდური მუშაობა; კრიტიკული აზროვნება; შესავალი მეწარმეობაში; ბიზნესკომუნიკაცია; კარიერული დაგეგმვა; Founders Gap Program.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ საქართველოში არსებული მსხვილი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა კომპონენტში გადაამზადებენ მონაწილეებს და ითანამშრომლებენ მათთან შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

პროექტს “500 ქალი ტექში” დამატებით 200 ბენეფიციარი შემოუერთდება. მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, BTU-მ გაზარდა პროექტის მონაწილეთა რაოდენობა და პროექტით ჯამში 700 მონაწილე ისარგებლებს.



პროექტები, ვებინარები, ვორკშოფები, ტრენინგები, მასტერკლასები, პანელური დისკუსიები და სხვა აქტივობები სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ბენეფიციარებისთვის

- აკადემიური წერა და სამეცნიერო პუბლიკაციების ფორმირება;
- ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენება;
- გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
- ხელოვნური ინტელექტის ტრენინგი - ტექნოლოგიური, იურიდიული და ანალიტიკური მიმართულებით;
- სტუდენტურ პროექტი - Job Shadowing და “ Mock Interview;
- როგორ გავხდე ფრილანსერი?;
- ბიზნესკომუნიკაციის ტრენინგები;
- BTU Shark Tank Georgia პრეაქსელერაციის პროგრამა - იმ სტარტაპებისთვის, რომლებმაც ვერ შეძლეს დაფინანსების აღება გადაცემის პირველ სეზონში;
- How MIT’s Unique Culture created a thriving Entrepreneurial Ecosystem - ვებინარი, სპიკერი: Jean Jaque Degroof, MIT-ის კურსდამთავრებული, ანტერპრენერი, ინვესტორი და მწერალი;
- Startup talks Identomat;
- როგორ გავხდე ფრილანსერი Toptal-ზე, Fiverr-სა და Upwork-ზე?
- iOS/Android 6თვიანი კურსი, 48 ბენეფიციარი;
- Intro to Tech Blogging - ტრენინგი საინფორმაციო ტექნოლოგიების საკომუნიკაციო პლატფორმის, Medium-ის, შესახებ;
- ევროკავშირის მხარდაჭერით ტრენინგების სერია ,,უსაფრთხო ინტერნეტის დღე’’;
- ISRAEL-GEORGIA SCHOOL OF DIGITAL CULTURE;
- ტრენინგი - WEPS ქალთა გაძლიერების პრინციპები;
- ტრენინგი - ფსიქოლოგია და სტრესის მართვა;
- ტრენინგი - Data Visualization;
- Unico.AI & Visegrad – თანამშრომლობით “Technology transfer and innovations in Georgia”;
- რჟეშოვის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (პოლონეთი) თანამშრომლობით სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, მონაწილეობა მიეღოთ Digital Industry Project: trainings for students-ის პირველ, მეორე და მესამე ფაზებში;
- ჩვენს სტუდენტებსა და ლექტორებს შესაძლებლობა მიეცათ, დასწრებოდნენ EUMMAS-თან თანამშრომლობით განახლებადი ენერგიების მიმართულებით ორგანიზებულ ვებინარს;
- აშაფენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან (გერმანია) თანამშრომლობით ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, მონაწილეობა მიეღოთ საერთაშორისო პროექტის კვირეულში;
- BTU-ს ლექტორებს შესაძლებლობა მიეცათ, დასწრებოდნენ EURAXESS-ის საინფორმაციო შეხვედრას - მკვლევართა კარიერული განვითარება;
- ლურჯი ოკეანის წიგნის პრეზენტაცია: აწმყოს ძალა - ეკჰარტ ტოლესი, კონსულტანტი ნინო ბერუაშვილი.

BTU-ში ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა კიბერუსაფრთხოების ფართომასშტაბიანი ფორუმი 6 სამიზნე ჯგუფისათვის: სკოლის მოსწავლეები, მშობლები, სტუდენტები, ლექტორები, ფართო საზოგადოება, გადაწყვეტილების მიმღები პირები. ორდღიანი ფორუმი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ჟან მონეს პროექტის, PEU-C-E-ს, დასკვნითი ღონისძიება გახლდათ.

პირველი საერთაშორისო სტუდენტური დასაქმების ფორუმი საქართველოში BTU-ს სტუდენტებისთვის ჩატარდა. 10-ზე მეტი კომპანია BTU-ს სტუდენტების დასაქმებისთვის გაერთიანდა 70 -ზე მეტი ვაკანსიით.

კონსულტაციები

- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია უნივერსიტეტის 200 სტუდენტსა და 30 ლექტორს;
- კარიერული განვითარების ცენტრმა ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია უნივერსიტეტის 700 სტუდენტსა და 550 კურსდამთავრებულს;
- მეწარმეობის ცენტრმა ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია 10 სტუდენტს, 4 კურსდამთავრებულსა და 8 ბენეფიციარს;
- სასწავლო პროცესების სამსახურმა კონსულტაციები პირველკურსელ სტუდენტებს სემესტრის დაწყებასთან დაკავშირებით გაუწია როგორც როგორც ელ. ფოსტის, ასევე სატელეფონო ზარების მეშვეობით. ამავე კომუნიკაციის გზით დადგინდა სტუდენტების დამატებითი საჭიროებები;
- სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა დამამთავრებელი კურსის 400-მდე სტუდენტს ინდივიდუალური კონსულტაციები გაუწია ბაკალავრისა თუ მაგისტრის ხარისხის მინიჭების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისათვის დარჩენილი სავალდებულო კომპონენტების შესახებ;
- BTU-ს მარკეტინგის სამსახურმა ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით 500-მდე აბიტურიენტს;
- სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა ინდივიდუალური კონსულტაციები გაუწია მობილობით გადმოსულ სტუდენტებს;
- კონსულტაციები ჩატარდა მეორე, მესამე, მეოთხე კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით;
- სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა ჩაატარა დოქტორანტებთან შეხვედრები სასწავლო კომპონენტის წარმართვასთან დაკავშირებით;
- ჩატარდა მოწვეული და აკადემიური პერსონალის ტრენინგი გაზაფხულის სემესტრის დაწყებასთან დაკავშირებით;
- ბიბლიოთეკის სამსახურის მიერ ინდივიდუალური კონსულტაციები გაეწიათ უნივერსიტეტის ლექტორებს ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების შესახებ.

BTU აბიტურიენტებისა და სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის - უფასო ტრენინგები, გადამზადება და კონკურსები

- გადამზადების სასერტიფიკატო კურსი ციფრულ მარკეტინგში;
- ქართული ენის, ინგლისური ენის, მათემატიკის, ფიზიკის, ისტორიის ერთიანი ეროვნული გამოცდების მოსამზადებელი ტრენინგები;
- BTU-სა და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ორგანიზებით მათემატიკის ყოველწლიური ოლიმპიადა აბიტურიენტებისა და მათი მასწავლებლებისათვის;
- საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის მოსამზადებელი ტრენინგი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის;
- შიდა გასაუბრების, შიდა სპეციალობის გამოცდის, ინგლისური ენის მოსამზადებელი ტრენინგი მაგისტრატურაზე ჩაბარების მსურველთათვის.

საანგარიშო პერიოდში BTU-ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით, 4 ღია კარის დღე ჩატარდა დაინტერესებულებისთვის, რომლებშიც, ადმინისტრაციული პერსონალის გარდა, მონაწილეობდნენ პროგრამების ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი.

საანგარიშო პერიოდში

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურმა დაასრულა ქსელის სამუშაოები; დანერგა Helpdesk; მოამზადა ინფრასტრუქტურა ახალი სემესტრის დასაწყებად.

კვლევების ცენტრმა ჩატარდა ღონისძიება და წარმოადგინა 2021 წელს აფილირებული პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევები ანგარიშის სახით; განისაზღვრა 2022 წლის სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტები; გამოავლინა და დააჯილდოვა 2021 წლის სამეცნიერო პრემიის ლაურეატები;

ბიბლიოთეკის სამსახურმა International Association of University Library-ს IATUL - ის წევრობა მიიღო;

შეიძინა ახალი სამეცნიერო ბაზები:

- European Respiratory Journal;
- Mathematical Sciences Publishers Journals;
- Openedition Journals;
- The Company of Biologists' Journals;

შეისყიდა ახალი წიგნები, სასწავლო ქეისები და სხვადასხვა სასწავლო რესურსი; მოამზადა რიდერები სასწავლო სემესტრისათვის, ასევეგააციფრულა ნაბეჭდი წიგნები; დაგეგმა და განახორციელა აქტივობები, პროექტები და გადამზადების პროგრამები.

კანცელარიის სამსახურმა შეიმუშავა და დანერგა ყველა სამსახურისთვის საქმეთა ნომენკლატურა; სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან ჩაიბარა და დააარქივა საარქივო დოკუმენტაცია; გააფორმა 263 მომსახურების/სერვისის ხელშეკრულება და 16 მემორანდუმი (საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან); მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოიცა 41 სამართლებრივი აქტი; მიღებულია 95 კორესპონდენცია; გასული კორესპონდენციის რაოდენობა - 73; შიდა კორესპონდენცია - 154

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა გააფორმა ახალი ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება პორტუგალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ისრაელის, თურქეთის, ინდონეზიისა და ჩინეთის უნივერსიტეტებთან; გააფორმა ახალი ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტმობილობის ხელშეკრულებები და მომზადდა ერთობლივი საპროექტო განაცხადები სტუდენტებისა და პერსონალის სრულად დაფინანსებული მობილობების განსახორციელებლად 46 ევროპულ უნივერსიტეტთან; დაგეგმა და გამოაცხადა სტუდენტური კონკურსები 2022/2023 წლის შემოდგომის სემესტრისთვის ნაწილობრივ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებზე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის ევროპულ უნივერსიტეტებში, სულ 25 განაცხადი;
გამოაცხადა კონკურსები და შეირჩა 6 სტუდენტის კანდიდატურა ორი სადიპლომო პროგრამის სტიპენდიისთვის; მოამზადა განაცხადი ჰარვარდის უნივერსიტეტის MOC Affiliate Membership-ზე; მოამზადა ინდუსტრიული ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიური ცვლილებების საგნის სილაბუსი; BTU-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის შეიმუშავა საგანი: **ინდუსტრიული ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიური ცვლილებები**, რომლის სწავლებაც უკვე დაწყებულია;

კარიერული განვითარების ცენტრმა სტუდენტები ჩართო:
საქართველოს ბანკის სტუდენტურ პროგრამაში ლიდერატორი, WORLD BANK YOUTH SUMMIT-ში, თიბისი IT აკადემიაში, სახელმწიფო სტაჟირების პროგრამაში;
კურსდამთავრებულებს შესთავაზა ყოველსემესტრული უწყვეტი განათლების პროგრამა, რომელშიც 62 კურსდამთავრებული 100-ზე მეტ კურსზე დაარეგისტრირა;
დამსაქმებელი კომპანიების რაოდენობა გაზარდა 25-ით;
მიმართულებების მიხედვით სტუდენტებთან გააზიარა 150-ზე მეტი ვაკანსია/სტაჟირების პროგრამა; დაასაქმა 50-მდე სტუდენტი.

სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა მონიტორინგი ყოველდღიურ რეჟიმში გაუწია ლექციების დაწყებისა და დასრულების დროებს; ტექნიკურად უზრუნველყო ყველა ლექციის ჩატარება; გაზაფხულის სემესტრში სტუდენტებსა და ლექტორებს ჰიბრიდული სასწავლო სემესტრი შესთავაზა;
სტუდენტთა უკუკავშირის მისაღებად 10-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა;
ჩაატარა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
განიხილა სტუდენტების 10 000-ზე მეტი განცხადება/წერილი;
სამაგისტრო ნაშრომების დაცვებისათვის დაიწყო საორგანიზაციო პროცესები;
ჩაატარა გეგმიური შეხვედრები სტუდენტებსა და ლექტორებთან.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა ჩაატარა მიზნობრივი კვლევა 2022 წლისათვის პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობისა და პროფესიული უნარების ამაღლების მიზნით ჩასატარებელი ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და განვითარების ღონისძიებების იდენტიფიცირების მიზნით; ჩაატარა ბტუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა პერსონალის კმაყოფილების შესწავლას.

მეწარმეობის ცენტრმა დაასრულა Henley x BTU Joint Advisory Group formation პროცესი; გამოკითხა სტუდენტები და ბენეფიციარი სტარტაპები იმის შესახებ, აინტერესებთ თუ არა Henley-ს პროექტის ფარგლებში ბრიტანელი პარტნიორის შეძენა და ბრიტანულ ბაზარზე სტარტაპის განვითარება;
დაიწყო სტარტაპების შერჩევა Big idea challenge-ისთვის;
განაახლა სილაბუსები;
ინოვაცია და სამეწარმეო უპირატესობა - სილაბუსზე იმუშავეს ლექტორებმა მარიამ ლაშხმა და ანა ვაშაყმაძემ. ასისტენტი - სტუდენტი სალომე ნაფეტვარიძე. ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპი - დაკორექტირდა სილაბუსი წინა სემესტრის უკუკავშირიდან გამომდინარე (შესავალი მეწარმეობაში).

განვითარების სამსახურმა მოამზადა და გაგზავნა 9 ახალი საგრანტო განაცხადი;
დაიწყო მუშაობა ოთხი ახალი საგრანტო განაცხადის მომზადებაზე;
კოორდინირება გაუწია მიმდინარე საერთაშორისო საგრანტო პროექტებს:

- Jean Monnet - European Commission - კიბერუსაფრთხოება;
- UNICO.AI – UNDP – Rustavi Innovation Laboratory;
- Unico.AI-სთან თანამშრომლობითა და Visegrad-ის დაფინანსებით – Network4Growth;
- USAID Economic Security Program-ის დაფინანსებით iOS/Android განვითარების პროგრამა;
- BC - Creative Spark - Henley Business School;
- UN Women - 500 ქალი ტექში.

მარკეტინგისა და სხვა სამსახურების ჩართულობით მომზადდა:

- ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის - HEIn4 ფარგლებში მომზადდა პროექტის მეოთხე საინფორმაციო ბროშურა;
- მომზადდა უნივერსიტეტის განახლებული ბროშურა პარტნიორი უნივერსიტეტებისა და BTU-ში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;
- განახლდა უნივერსიტეტის პრეზენტაცია პარტნიორებისა და BTU-ში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;
- მომზადდა და დაიბეჭდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ბროშურა;
- მომზადდა და დაიბეჭდა კვლევების ცენტრის მიერ 2021 წელს განხორციელებული კვლევების ანგარიში/შეჯამება;
- საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის პერსონალისთვის მომზადდა მარკეტინგის სამსახურის მიერ შემუშავებული გაიდლაინი ელექტრონულ კომუნიკაციასთან დაკავშირებით;
- უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის განახლდა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშემწყობი გაიდლაინები: გზამკვლევი ერაზმუსის პროგრამებისთვის; გზამკვლევი ორმხრივი გაცვლებისთვის;
- სტუდენტური და პერსონალის კონკურსების სააპლიკაციო პროცესის ადმინისტრირების გასამარტივებლად და დასახვეწად მომზადდა ონლაინ სააპლიკაციო ფორმები შემდეგი მიმართულებებით: Online Application form for outgoing students/Erasmus; Online Application form for outgoing students/Bilateral; Online Application form for outgoing students/Double Degree Programs; Online Application form for incoming students; Online Application form for outgoing staff; Online Application form for incoming staff;
- კარიერული განვითარების ცენტრის მიერ მომზადდა გაიდლაინები.

უნივერსიტეტის პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით და სხვა სიახლეები/შესაძლებლობები

BTU-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აშშ-ს საელჩოს მიერ ორგანიზებულ University Capacity Building/Internationalization კონფერენციაში საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკების გაზიარების მიზნით;

- BTU-ს წარმომადგებლებმა მონაწილეობა მიიღეს ამერიკული საბჭოების ვებინარების სერიაში: „უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამა" (UCBP);
- BTU-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ესპანეთის ლოს ენლაკეს პერსონალის საერთაშორისო კვირეულში თანამშრომლობის გამყარებისა და ახალი პროექტების ინიცირების მიზნით;
- BTU-ს კოორდინირებით მომზადდა და გამოქვეყნდა UN Climate Change Global Youth State ment for youth;
- BTU-ს კოორდინირებით მომზადდა სპეციალური ანგარიში საერთაშორისო უნივერსიტეტთა ასოციაციის წლიური რეპორტისთვის - The Digital Transformation of HEI Administrative Services;
- დაიგეგმა BTU-ს 12 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანი ვიზიტები ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში;
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის მომზადდა სპეციალური ნუსხა საერთაშორისო ბაზაში შესატანად;
- BTU-ს რექტორი შეუერთდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციას;
- ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტ HEIn4-ის ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტის კონსორციუმის 3 შეხვედრაში;
- BTU-ს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საქართველო სამეწარმეო განათლების ალიანსის სამუშაო ჯგუფის ყოველკვირეულ შეხვედრებში, ბრიტანეთის საბჭოს პროექტის ფარგლებში;
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, განაცხადი გაეკეთებინათ ლატვიისა და ლიეტუვის მთავრობების სტიპენდიებზე სემესტრული გაცვლითი პროგრამების დასაფინანსებლად;
- დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსა და მაგისტრანტებს შესაძლებლობა მიეცათ, განაცხადი გაეკეთებინათ ცუკუბას უნივერსიტეტის სრულ სამაგისტრო სტიპენდიებზე;
- BTU-ს ლექტორებს შესაძლებლობა მიეცათ, განაცხადი გაეკეთებინათ EUMMAS-ის საერთაშორისო კონფერენციაზე "Global Social and Technological Development and Sustainability";
- BTU-ს ლექტორებს შესაძლებლობა მიეცათ, ინსტიტუციური განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტის - HEIn4-ის - ფარგლებში პროექტის მეორე პუბლიკაციაში გამოექვეყნებინათ მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის ჭრილი მომზადებული სტატიები;
- BTU-ს ლექტორებს შესაძლებლობა მიეცათ, განაცხადი გაეკეთებინათ ლატვიის მთავრობის სტიპენდიებზე მოკლევადიანი ვიზიტების/პროგრამების დასაფინანსებლად;
- BTU-ს ICT-ის ლექტორებს შესაძლებლობა მიეცათ, BTU-Microsoft პარტნიორობის ფარგლებში ესარგებლათ ინსტიტუციური დახმარებით;
- BTU-Microsoft თანამშრომლობის ფარგლებში უნივერსიტეტს მიენიჭა MSLE training and Lab benefit Pilot-ზე წვდომა; მომზადდა ანგარიში, რომლის მიხედვითაც Microsoft-ის სერვისებით მიმდინარე კვარტალში სარგებლობს 180-მდე სტუდენტი;
- Google Hash Code 2022-ის ერთადერთი ჰაბი საქართველოში ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი გახდა;
- ხელი მოეწერა პრესტიჟული ჟან მონეს მოდულის საგრანტო ხელშეკრულებას განახლებადი ენერგიების მიმართულებით: „EU for Energy Security and Sustainable Development Policies";
- სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა (შვედეთი) და ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან (ესტონეთი) თანამშრომლობით დაფინანსდა ახალი პროექტი ინტერნაციონალიზაციის პროცესის გასაძლიერებლად და ტალანტების იდენტიფიცირების მიზნით (TALNET).

უკრაინის მხარდასაჭერად:

- ჩვენი სტუდენტების სახელით უკრაინელი ხალხის დასახმარებლად კიევსა და სხვა ქალაქებში ჰუმანიტარული გზავნილი რამდენჯერმე გაიგზავნა;
- ჩვენი ჩართულობით უკრაინის დასახმარებლად ახალი პლატფორმა - www.artistsforukraine.com შეიქმნა, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო NFT არტისტებს აერთიანებს. პლატფორმაზე BTU-ს სტუდენტების ნამუშევრებიცაა განთავსებული; შემოსული თანხა გადაირიცხა უკრაინელების დასახმარებლად;
- ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი - HEIn4 შეუფერხებლად განხორციელებისთვის BTU-მ გადმოიბარა პროექტის თანაკოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები;
- BTU-ს უკრაინელ სტუდენტებს სწავლის საფასური მოეხსნათ;
- ჩატარდა საჯარო პანელური დისკუსია - საფონდო ბირჟების, ფასიანი ქაღალდებისა და დაწესებული სანქციების სხვადასხვა ქვეყანაზე გავლენის შესახებ;
- ჩატარდა საჯარო პანელური დისკუსია ციფრული წიგნიერების, დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ომის შესახებ;
- ჩატარდა საჯარო პანელური დისკუსია - რა კავშირია ომებსა და ეკონომიკის ისტორიას შორის, როგორ ვითარდება ფინანსური ბაზრების დინამიკა და რის პროგნოზირება შეგვიძლია წარსულის ანალიზის საფუძველზე;
- ჩატარდა ვებინარი - ბავშვთან კომუნიკაციის მეთოდები სტრესულ გარემოში - როგორ ვისაუბროთ პანდემიის, ომისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;
- ჩატარდა შეხვედრა საქართველოს თავდაცვის ძალების, გენერალური შტაბის, სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის, სამხედრო სტრატეგიისა და ძალთა დაგეგმვის სამმართველოს უფროს პოლკოვნიკ ლაშა დავითაძესთან;
- ჩატარდა წიგნის განხილვა: Principles for Dealing with the Changing World Order;
- ჩატარდა Ransom War - ვებინარი ომის ტექნოლოგიების, რეკორდული დავირუსების მაჩვენებლებისა და მძლავრი ჰაკერული დაჯგუფებების შესახებ;
- ჩატარდა თიბისი კაპიტალის ყოველკვირეულად განახლებადი მაკროეკონომიკური რეპორტის მიმოხილვა.

УКРАЇНСЬКОМУ НАРОДУ ВІД СТУДЕНТІВ
УНІВЕРСИТЕТУ БІЗНЕСУ ТА ТЕХНОЛОГІЙ ГРУЗІЇ

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

BTU-ს პარტნიორი უკრაინული უნივერსიტეტები და ორგანიზაციები

უნივერსიტეტები

- დონეცკის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი
- სუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი
- ივან-ფრანკოს ნავთობისა და გაზის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი
- ლუცკის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი
- ლვოვის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი
- უკრაინის ეროვნული მეტალურგიული აკადემია

ორგანიზაციები

- Festo
- Paton Welding Institute
- BRIT

BTU | ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი